

უძრავი ქონების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად
დარეგისტრირების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტის კუთვნილებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შემდეგი ქონება: ადგილობრივი მნიშვნელობის გზები და მათი ნაწილები, ქუჩები, მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელები, ტროტუარები, შუქნიშნები, გარე განათების კონსტრუქციები, მოედნები, სკვერები, ბულვარები, შადრევნები, პარკები, მწვანე ნარგავები და ნაპირსამაგრი ნაგებობები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წარდგენილი იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დასარეგისტრირებელი უძრავი ქონებები, კერძოდ: სკვერი, მდებარე ნიკეას ქუჩა მე-2 შეს. N49ა-ს ჩრდილოეთით, ფართობი -- 312,0 კვ.მ. და გაზონი, მდებარე ზ. გამსახურდიას გამზირი N11 სახლის ჩრდილოეთით, ფართობი --663.0 კვ.მ.

2. სარეგისტრაციო დოკუმენტაციის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენის უფლებამოსილება მიენიჭოს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურის ქონების რეგისტრაციის განყოფილების წამყვან სპეციალისტს, თეიმურაზ ერამეს (პირადი N60001079086).

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილემ, კონსტანტინე ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქ.N11/ გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

6. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში.

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

ნ.მიქიაშვილი